საქართველოს მთავრობის

დადგენილება №14

2020 წლის 9 იანვარი

ქ. თბილისი

სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი“.

მუხლი 2

ფიზიკური პირები, რომელთა შესახებ ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეტანილი აქვს რეესტრებში და ისინი ამ დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის შესაბამისად ახორციელებენ არაორგანიზებულ წარმოებას, ჩაითვალონ ოჯახური წარმოების სუბიექტად რეგისტრირებულად.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**

სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი

მუხლი 1. მიზანი და გამოყენების სფერო

1. სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი (შემდგომში – წესი) მიზნად ისახავს:

ა) იმ ფიზიკური პირის საქმიანობის ხელშეწყობას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს ოჯახური წარმოების სუბიექტს (შემდგომში – ოჯახური წარმოების სუბიექტი) და ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად;

ბ) შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას;

გ) მომხმარებელთა ინტერესების დაცვას.

2. ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ოჯახური წარმოების სუბიექტზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ოჯახური წარმოება** – სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ან/და პირველადი წარმოება არაორგანიზებულად;

ბ) **ოჯახური წარმოების სუბიექტი** – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად;

გ) **არაორგანიზებული წარმოება** – ოჯახური წარმოების სუბიექტის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ან/და პირველადი წარმოება ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების

შესაბამისად.

2. ამ წესის მიზნებისთვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 3. ზოგადი მოთხოვნები

1. ამ წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მიზნების განხორციელებისათვის ოჯახური წარმოების სუბიექტის მიერ წარმოებული/გადამუშავებული სურსათი უნდა იყოს:

ა) უვნებელი;

ბ) მიკვლევადი, რისთვისაც მას თან უნდა ახლდეს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ოჯახური წარმოების სუბიექტის რეგისტრაციის ნომერი.

2. ამ წესით განსაზღვრულ ოჯახური წარმოების სუბიექტზე არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული:

ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი;

ბ) ბიზნესოპერატორის აღიარება;

გ) ჰიგიენის წესები;

დ) მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესები.

3. ამ წესით განსაზღვრულ ოჯახური წარმოების სუბიექტზე, ვეტერინარული კონტროლისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის ფარგლებში, ვრცელდება ამავე წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 აპრილის დადგენილება №168 – ვებგვერდი, 05.04.2022წ.

მუხლი 4. არაორგანიზებული წარმოება

1. სურსათის/ცხოველის საკვების ან/და პირველადი პროდუქტის წარმოება წარმოადგენს არაორგანიზებულ წარმოებას, თუ ოჯახური წარმოების სუბიექტის საკუთრებაშია, ფლობს ან/და აწარმოებს ერთ-ერთს მაინც ჩამოთვლილთაგან:

ა) არაუმეტეს 300 ფრთა ფრინველი და მისგან წარმოებული ხორცი ან/და კვერცხი;

ბ) არაუმეტეს 10 ფუტკრის სკა და მისგან წარმოებული თაფლი;

გ) არაუმეტეს 30 სული ბოცვრისნაირი და მისგან წარმოებული ხორცი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით იდენტიფიცირებულ-რეგისტრირებული მსხვილფეხა საქონლისგან მიღებული რძე და რძის ნაწარმი, იმ შემთხვევაში, თუ ამ მსხვილფეხა საქონლის სულადობა არ აღემატება 5 სულს;

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით იდენტიფიცირებულ-რეგისტრირებული წვრილფეხა საქონლისგან მიღებული რძე და რძის ნაწარმი, იმ შემთხვევაში, თუ ამ წვრილფეხა საქონლის სულადობა არ აღემატება 15 სულს;

ვ) არაუმეტეს 2 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე წარმოებული სურსათი ან/და ცხოველის საკვები.

2. პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა არ გამორიცხავს ოჯახური წარმოების სუბიექტის

მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რამდენიმე საკუთრების ერთდროულად ფლობას.

3. ოჯახური წარმოების სუბიექტის მიერ წარმოებულ სურსათს/ცხოველის საკვებს თან უნდა ახლდეს ინფორმაცია, სულ მცირე, ოჯახური წარმოების სუბიექტის რეგისტრაციის ნომრის შესახებ.

მუხლი 5. მოთხოვნები ოჯახური წარმოების სუბიექტის მიმართ

1. ოჯახური წარმოების სუბიექტი ვალდებულია, რეგისტრაცია გაიაროს სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) და მიუთითოს მის მფლობელობაში არსებული საკუთრების სახეები, ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად.

2. ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, ოჯახური წარმოების სუბიექტმა მიზანშეწონილია:

ა) აწარმოოს ჩანაწერები ყველა იმ პირის შესახებ, რომელსაც ის აწვდის სურსათს, გარდა საბოლოო მომხმარებლისა;

ბ) გაატაროს სათანადო ღონისძიებები სურსათის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად;

გ) დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, ჰქონდეს სურსათის წარმოებისათვის/გადამუშავებისათვის სათანადო სივრცე, ასევე სათანადო პირობებსა და დაცულ სათავსში შეინახოს მოხმარებისათვის მზა სურსათი და გამოსაყენებელი ინგრედიენტები ისე, რომ მზა სურსათი გამოცალკევებულ იქნეს ინგრედიენტებისაგან;

დ) დაიცვას სურსათთან შეხებაში მყოფი ყველა საგანის, აღჭურვილობისა და მოწყობილობის სისუფთავე;

ე) დაიცვას სურსათთან შეხებაში მყოფი ზედაპირების სისუფთავე;

ვ) სურსათის წარმოებისათვის გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სასმელი წყალი;

ზ) არასასმელი წყალი გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გავლენას არ ახდენს სურსათის უვნებლობაზე, მაგალითად, როგორიცაა, ხანძარსაწინააღმდეგო და დასუფთავების ზოგიერთი ქმედებები;

თ) გაიტანოს მყარი და თხევადი ნარჩენები;

ი) დაიცვას იატაკის სისუფთავე;

კ) ჰქონდეს სათანადო სამაცივრო სივრცე იმ სურსათისათვის, რომელიც საჭიროებს გაგრილებასა და შენახვას, პიკური მოხმარების გათვალისწინებით;

ლ) საჭიროების შემთხვევაში, დაიცვას სურსათის სათანადო ტემპერატურით დამუშავებისა და შენახვის პირობები;

მ) აუცილებლობის შემთხვევაში, ჰქონდეს წყლის შენახვისა და მიწოდებისათვის საჭირო მოწყობილობები, რომლებიც დაცული იქნება დაბინძურებისაგან;

ნ) სათავსი გაანათოს იმგვარად, რომ სურსათის წარმოება/დამუშავება და სათავსის დასუფთავება განახორციელოს ეფექტიანად;

ო) სურსათის გადაზიდვისთვის გამოიყენოს სუფთა სატრანსპორტო საშუალებები;

პ) რამდენადაც შესაძლებელია, თავიდან აიცილოს მავნებლებისაგან პირველადი პროდუქტისა და მზა სურსათის დაბინძურება;

ჟ) სურსათის შესაფუთი მასალის სურსათთან უშუალო შეხებისას თავიდან აიცილოს სურსათის დაბინძურება;

რ) სურსათის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, ქიმიური ნივთიერებები გამოიყენოს და შეინახოს უსაფრთხოდ, სათანადო ინსტრუქციების შესაბამისად;

ს) სათავსის ჭერზე ან კედლებზე კონდენსაციის თავიდან ასაცილებლად, ჰქონდეს საკმარისი ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაცია.

3. ოჯახური წარმოების სუბიექტი ასევე ვალდებულია:

ა) შეასრულოს სააგენტოს მითითებები ეპიზოოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული, სალიკვიდაციო და საიდენტიფიკაციო-სარეგისტრაციო ღონისძიებების განსახორციელებლად;

ბ) ითანამშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან ცხოველთა დაავადების საწინააღმდეგო სადიაგნოსტიკო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებებისა და ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ღონისძიებების განხორციელებისას;

გ) უზრუნველყოს ცხოველთა (მათ შორის, შინაურ ბინადარ ცხოველთა) კეთილდღეობა;

დ) უზრუნველყოს ცხოველთა გადარეკვა, გადაყვანა და რეალიზაცია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) უზრუნველყოს ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის განკარგვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) გადამდები დაავადებების, აგრეთვე ცხოველთა მასობრივი მოწამვლა-მოშხამვის შემთხვევების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

ზ) შეასრულოს სააგენტოს მითითებები ეპიზოოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად; ითანამშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან ცხოველთა დაავადების საწინააღმდეგო სადიაგნოსტიკო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისას;

თ) შეასრულოს სააგენტოს მითითებები იმ მავნე ორგანიზმის მასობრივი გავრცელების თავიდან ასაცილებლად, რომელიც საფრთხეს უქმნის მცენარის სიჯანსაღეს;

ი) ითანამშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისას;

კ) საკარანტინო მავნე ორგანიზმების გამოვლენის ან/და მათ შესახებ ეჭვის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 აპრილის დადგენილება №168 – ვებგვერდი, 05.04.2022წ.

მუხლი 6. რეესტრის წარმოება და რეგისტრაციის გაუქმება

1. ოჯახური წარმოების სუბიექტის რეგისტრაციას ახორციელებს სააგენტო.

2. სააგენტო ქმნის და აწარმოებს მონაცემთა ერთიან ბაზას, რომელიც მოიცავს ოჯახური წარმოების სუბიექტის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: სახელს, გვარს, პირად ნომერს, ფაქტობრივ მისამართს, საქმიანობის სახეს.

3. ოჯახური წარმოების სუბიექტის რეგისტრაციისთვის, რეგისტრაციის განახლებისა და მონაცემთა ერთიანი ბაზის წარმოებისთვის, სააგენტო უფლებამოსილია, მიიღოს ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან და სხვა

შესაბამისი უწყებებიდან/დაწესებულებებიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

4. რეგისტრაციისას სააგენტო ოჯახური წარმოების სუბიექტს ანიჭებს რეგისტრაციის ნომერს, რომელიც არის ფიზიკური პირის პირადი ნომერი.

5. ოჯახური წარმოების სუბიექტს რეგისტრაცია გაუუქმდება, თუ მისი საქმიანობა ვერ აკმაყოფილებს ამ წესის მე-4 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის პირის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.